



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

**სასაკლავოების, ელექტრორებისა  
და სამაცივრე მეურნეობების  
გამოკვლევის ძირითადი შედეგები**

**2020**

**II კვარტალი**

19.08.2020

[www.geostat.ge](http://www.geostat.ge)



## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


19.08.2020

### სასაკლაოების, ელექტორებისა და სამაცივრე მეურნეობების გამოკვლევის ძირითადი შედეგები (2020 წლის II კვარტალი)

#### სასაკლაოები

2020 წლის II კვარტალში საქართველოში 84 ერთეული ცხოველთა და ფრინველთა სასაკლაო ფუნქციონირებდა, მათგან 20.2 პროცენტი - ქვემო ქართლში, 15.5 პროცენტი - კახეთში, 13.1 პროცენტი - იმერეთში, 13.1 პროცენტი - სამეგრელო-ზემო სვანეთში მდებარეობს, 11.9 პროცენტი - შიდა ქართლში, ხოლო დანარჩენი 26.2 პროცენტი სხვა რეგიონებშია განთავსებული:

#### საქართველოში მოქმედი ცხოველთა და ფრინველთა სასაკლაოები რეგიონების მიხედვით, 2020 წლის II კვარტალი



## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

19.08.2020

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2020 წლის II კვარტლის განმავლობაში სასაკლაოებში დაკლულია 62.8 ათასი სული პირუტყვი, მათ შორის 39.6 პროცენტი მსხვილფეხა, ხოლო 60.4 პროცენტი-წვრილფეხა (ცხვარი, თხა, ღორი და სხვა). გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სასაკლაოებში დაკლული ფრინველის რაოდენობა 2 773.7 ათასი ერთეულით განისაზღვრა.

სასაკლაოების მიერ 2020 წლის II კვარტლის განმავლობაში 8 444.7 ტონა ხორცი იქნა წარმოებული (იგულისხმება დაკლული წონა, ფრინველის ხორცის ჩათვლით), საიდანაც 31.1 პროცენტი მოდის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცზე, 49.1 პროცენტი - ფრინველის, 19.1 პროცენტი - ღორის, 0.6 პროცენტი - ცხვრისა და თხის ხორცზე, ხოლო დანარჩენს უმნიშვნელო წილი უკავია.

მომსახურება გაეწია 6.5 ათას პირს, საიდანაც 25.9 პროცენტი შინამეურნეობების (ოჯახური მეურნეობები) სახით იყვნენ წარმოდგენილნი. სასაკლაოებში დასაქმებულთა საშუალო თვიურმა რაოდენობამ 817 კაცი შეადგინა.

ერთეული პირუტყვის დაკვლაზე მომსახურების საშუალო ფასი შეადგენს: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაკვლის საფასური - 26.0 ლარი, ცხვრის ან თხის - 10.9 ლარი, ხოლო ღორის - 23.9 ლარი.


## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

19.08.2020

### სამაცივრე მეურნეობები

2020 წლის II კვარტალში საქართველოში 52 ერთეული სამაცივრე მეურნეობა ფუნქციონირებდა, რომელთა უმრავლესობაც შიდა ქართლის (38.5 პროცენტი) რეგიონშია განთავსებული. მოქმედი სამაცივრე მეურნეობები ასევე განთავსებულია ქ. თბილისში (17.3 პროცენტი), ქვემო ქართლის (11.5 პროცენტი), სამეგრელო-ზემო სვანეთის (11.5 პროცენტი), იმერეთის (7.7 პროცენტი), მცხეთა-მთიანეთის (5.8 პროცენტი), კახეთის (5.8 პროცენტი) და გურიის (1.9 პროცენტი) რეგიონებში:

### საქართველოში მოქმედი სამაცივრე მეურნეობები რეგიონების მიხედვით, 2020 წლის II კვარტალი




2020 წლის II კვარტლის განმავლობაში მომსახურება გაენია 271 მომხმარებელს. მწარმოებელთა და გადამყიდველთა რაოდენობამ, რომელთაგანაც შესყიდულ იქნა პროდუქცია - 265 ერთეული შეადგინა, ხოლო სამაცივრეებში დასაქმებულთა საშუალოთვიური რაოდენობა 863 კაცით განისაზღვრა.

## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

19.08.2020

2020 წლის II კვარტლის განმავლობაში მაცივრებში შენახული (განთავსებული) იყო 89.1 ათასი ტონა პროდუქცია, მათ შორის 50.9 პროცენტი ქათმის ხორცი (გაყინულის ჩათვლით), 27.5 პროცენტი თევზი, 12.8 პროცენტი პირუტყვის ხორცი და ხორცპროდუქტები (ნახევარფაბრიკატების ჩათვლით), 5.5 პროცენტი ხილი და ბოსტნეული, ხოლო დანარჩენ პროდუქციას უმნიშვნელო წილი ჰქონდა:

### მაცივრებში შენახული პროდუქტების სტრუქტურა, 2020 წლის II კვარტალი



სამაცივრე მეურნეობების მიერ შემდგომი რეალიზაციის მიზნით 2020 წლის II კვარტლის განმავლობაში შესყიდულია 4.1 ათასი ტონა პროდუქცია. რაც შეეხება მომსახურების საფასურს - 3.9 მლნ. ლარი შეადგინა.

2020 წლის II კვარტლის განმავლობაში სამაცივრე მეურნეობების მიერ გაყიდულია 49.4 მლნ. ლარის ღირებულების (27.4 ათასი ტონა) პროდუქცია, საიდანაც ღირებულებით გამოსახულებაში შედარებით დიდი წილი (63.2 პროცენტი) იყო ადგილობრივი (საკუთარი) წარმოების. ამასთან, სამაცივრეების მიერ გაყიდული ადგილობრივი (საკუთარი) პროდუქციის 50.8 პროცენტი მოდიოდა ქათმის ხორცზე. იმპორტირებული პროდუქციის მნიშვნელოვან მოცულობას პირუტყვის ხორცი და ხორცპროდუქტები (ნახევარფაბრიკატების ჩათვლით) (42.2 პროცენტი) და ქათმის ხორცი (გაყინულის ჩათვლით) (32.0 პროცენტი) წარმოადგენდა.

სამაცივრეების მიერ გაყიდული პროდუქციიდან უცხოურ ბაზარზე თევზი, ქათმის ხორცი, ხილი და ბოსტნეული იქნა რეალიზებული.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, კამერების საშუალო დღიური დატვირთვა (პროცენტულად კამერების ჯამური ტევადობიდან) აპრილში შეადგენდა 55.2 პროცენტს, მაისში - 59.4 პროცენტს, ხოლო ივნისში 53.9 პროცენტს.


## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

19.08.2020

### ელევატორები

2020 წლის II კვარტალში საქართველოში 19 ელევატორი ფუნქციონირებდა, რომელთა უმრავლესობაც ქვემო ქართლის (47.4 პროცენტი) რეგიონში იყო განთავსებული. ელევატორების 21.1 პროცენტი ფუნქციონირებს შიდა ქართლის რეგიონში, 15.8 პროცენტი - სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, 10.5 პროცენტი ქ. თბილისში და 5.3 პროცენტი გურიის რეგიონში:

### საქართველოში მოქმედი ელევატორები რეგიონების მიხედვით, 2020 წლის II კვარტალი




2020 წლის II კვარტლის განმავლობაში მწარმოებელთა და გადამყიდველთა რაოდენობამ, რომელთაგანაც შესყიდულ იქნა პროდუქცია - 74 ერთეული შეადგინა, ხოლო ელევატორებში დასაქმებულთა საშუალოთვიური რაოდენობა 842 კაცით განისაზღვრა.

2020 წლის II კვარტლის განმავლობაში ელევატორებში შენახული (განთავსებული) იყო 133.5 ათასი ტონა პროდუქცია, რომლის 79.9 პროცენტს წარმოადგენდა ხორბალი, ხოლო დანარჩენ პროდუქციას (სიმინდი, ქერი, ქათო და ა.შ) უმნიშვნელო წილი ჰქონდა:

## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

19.08.2020

### ელევატორში შენახული პროდუქციის სტრუქტურა, 2020 წლის II კვარტალი



2020 წლის II კვარტლის განმავლობაში ელევატორების მიერ გაყიდულია 88.1 მლნ. ლარის ღირებულების 101.1 ათასი ტონა პროდუქცია, საიდანაც 50.0 პროცენტი იყო ადგილობრივი (საკუთარი) წარმოების.

ადგილობრივი (საკუთარი წარმოების) წარმოშობის პროდუქციაში, როგორც მოცულობის, ისე ღირებულების მიხედვით, ჭარბობდა ხორბლის ფქვილი, რომელზეც მოდიოდა ელევატორების მიერ გაყიდული ადგილობრივი პროდუქციის 81.8 პროცენტი.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ელევატორების საცავების საშუალო დღიური დატვირთვა (პროცენტულად საცავების ჯამური ტევადობიდან) აპრილში შეადგენდა 46.7 პროცენტს, მაისში - 44.1 პროცენტს, ხოლო ივნისში 37.0 პროცენტს.

### საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

#### საკონტაქტო პირები:

დავით კუპატაძე, ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: [dkupatadze@geostat.ge](mailto:dkupatadze@geostat.ge)

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: [mkavelashvili@geostat.ge](mailto:mkavelashvili@geostat.ge)